# გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №43

## 2017 წლის 29 ივნისი

## ქ. გარდაბანი

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 თებერვლის №8 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 08.02.2016, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.35.161.016272) დამტკიცებულ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

| № | თანამდებობათა დასახელება | თანამდებობრივი სარგო (ლარში) |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 2650 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 2200 |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე,<br>საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 2000 |
| 4 | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1600 |
| 5 | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1300 |
| 6 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 900 |
| 7 | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 875 |
| 8 | მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 850 |

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** ვაჟა გენგაშვილი